ზუგდიდის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ეკონომიკის, ურბანული განვითარებისა და ქონების მართვის საკითხთა კომისიის სხდომის
ოქმი N21

ქ.ზუგდიდი **30 აგვისტო 2023 წელი**
14:00 სთ

2023 წლის 30 აგვისტოს გაიმართა ზუგდიდის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ეკონომიკის, ურბანული განვითარებისა და ქონების მართვის საკითხთა კომისიის სხდომა. სხდომას თავმჯდომარეობდა კომისიის თავმჯდომარე გიორგი სორდია.

სხდომას ესწრებოდნენ: გიორგი სორდია, გიგა ფარულავა, კახაბერ ჩანგელია, თამუნა ჯიქია, ოთარ ქადარია, დავით ფიფია, სოსო გოგოხია, დავით ვეკუა, დარეჯან გაბედავა, მაია კალანდია, ბეჟან შანავა.

სხდომას არ ესწრებოდნენ: ირაკლი გოგოხია, თაზო ფაცაცია, ჯონი ჯიქია, გიორგი კორტავა, ლაშა ბეჭვაია.

სხდომას ასევე ესწრებოდა: ლაშა ადეიშვილი-ზუგდიდის მუნიციპალიტეტის მერიის ეკონომიკური პოლიტიკის და მუნიციპალური სერვისების სამსახურის უფროსი; **.....**-ზუგდიდის მუნიციპალიტეტის მერიის ადმინისტრაციული სამსახურის უფროსის მოადგილე; **.....** ზუგდიდის მუნიციპალიტეტის საკრებულოს აპარატის უფროსი; **.....**-ზუგდიდის მუნიციპალიტეტის საკრებულოს აპარატის იურიდიული განყოფილების უფროსი.

სხდომის მდივანი: ზუგდიდის მუნიციპალიტეტის საკრებულოს აპარატის საქმისწარმოების განყოფილების მესამე რანგის მეორე კატეგორიის უფროსი სპეციალისტი .....

სხდომის დაწყებამდე კომისიის წევრებმა გაიარეს რეგისტრაცია, რეგისტრაციის გავლის შემდეგ სხდომას ესწრებოდა კომისიის 16 წევრიდან 11 წევრი.
კომისიის თავმჯდომარემ კომისიის წევრებს გააცნო სხდომის

დ ღ ი ს წ ე ს რ ი გ ი:

1. „ზუგდიდის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული უძრავი ქონების იჯარის ფორმით შპს .....გადაცემის შესახებ ზუგდიდის მუნიციპალიტეტის მერისთვის თანხმობის მიცემის თაობაზე განკარგულების პროექტი.

   მომხსენებელი: გიორგი სორდია-ზუგდიდის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ეკონომიკის, ურბანული განვითარებისა და ქონების მართვის საკითხთა კომისიის თავმჯდომარე

   თანამომხსენებელი: ლაშა ადეიშვილი-ზუგდიდის მუნიციალიტეტის მერიის ეკონომიკური პოლიტიკის და მუნიციპალური სერვისების სამსახურის უფროსი

2. ,,ზუგდიდის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული ქონების საპრივატიზაციო ნუსხის და ზუგდიდის მუნიციპალიტეტის ქონების პრივატიზაციის გეგმის დამტკიცების თაობაზე“ ზუგდიდის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2017 წლის 21 დეკემბრის N42 განკარგულებაში ცვლილებების შეტანის შესახებ განკარგულების პროექტი.

   მომხსენებელი: გიორგი სორდია-ზუგდიდის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ეკონომიკის, ურბანული განვითარებისა და ქონების მართვის საკითხთა კომისიის თავმჯდომარე

თანამომხსენებელი: ლაშა ადეიშვილი-ზუგდიდის მუნიციალიტეტის მერიის ეკონომიკური პოლიტიკის და მუნიციპალური სერვისების სამსახურის უფროსი

3. ქ.ზუგდიდში ერთ-ერთი ქუჩისთვის ფილოსოფოს აკაკი (ქაქუ) ციმინტიას სახელის მინიჭების შესახებ.

მომხსენებელი: გიორგი სორდია-ზუგდიდის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ეკონომიკის, ურბანული განვითარებისა და ქონების მართვის საკითხთა კომისიის თავმჯდომარე

4. ა(ა)იპ ,,ზუგდიდის მუნიციპალიტეტის - კეთილმოწყობის მართვის ცენტრის“ ბალანსზე არსებული უძრავი ქონების პირდაპირი განკარგვის წესით, სარგებლობის უფლებით, იჯარის ფორმით გაცემისას, ქირის წლიური საფასურის ოდენობის განსაზღვრის შესახებ ა(ა)იპ ,,ზუგდიდის მუნიციპალიტეტის - კეთილმოწყობის მართვის ცენტრისთვის“ თანხმობის მიცემის თაობაზე განკარგულების პროექტი.

მომხსენებელი: გიორგი სორდია-ზუგდიდის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ეკონომიკის, ურბანული განვითარებისა და ქონების მართვის საკითხთა კომისიის თავმჯდომარე

თანამომხსენებელი: ლაშა ადეიშვილი-ზუგდიდის მუნიციალიტეტის მერიის ეკონომიკური პოლიტიკის და მუნიციპალური სერვისების სამსახურის უფროსი

5. ზუგდიდის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული 9 (ცხრა) ცალი გარე განათების ბოძის ნაწილის (წერტილი) სს ..... სარგებლობაში პირდაპირი განკარგვის წესით იჯარის ფორმით გაცემისა და ქირის წლიური საფასურის განსაზღვრის შესახებ ზუგდიდის მუნიციპალიტეტის მერისთვის თანხმობის მიცემის თაობაზე განკარგულების პროექტი.

მომხსენებელი: გიორგი სორდია-ზუგდიდის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ეკონომიკის, ურბანული განვითარებისა და ქონების მართვის საკითხთა კომისიის თავმჯდომარე

თანამომხსენებელი: ლაშა ადეიშვილი-ზუგდიდის მუნიციალიტეტის მერიის ეკონომიკური პოლიტიკის და მუნიციპალური სერვისების სამსახურის უფროსი

6. ზუგდიდის მუნიციპალიტეტის სოფლების საილუსტრაციო ორთოფოტოების და შემავალი ქუჩების დამტკიცების შესახებ განკარგულების პროექტები.

მომხსენებელი: გიორგი სორდია-ზუგდიდის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ეკონომიკის, ურბანული განვითარებისა და ქონების მართვის საკითხთა კომისიის თავმჯდომარე

თანამომხსენებელი: .....-ზუგდიდის მუნიციპალიტეტის მერიის ადმინისტრაციული სამსახურის უფროსის მოადგილე

7. სხვადასხვა საკითხები.

კომისიის თავმჯდომარემ მიმართა კომისიის წევრებს კენჭი ეყაროს სხდომის დღის წესრიგს წარმოდგენილი რედაქციით.

კენჭისყრის შედეგად კომისიის წევრებმა დღის წესრიგს მხარი დაუჭირეს ერთხმად.

მოისმინეს: დღის წესრიგით გათვალისწინებულ **პირველ საკითხთან** დაკავშირებით ზუგდიდის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ეკონომიკის, ურბანული განვითარებისა და ქონების მართვის საკითხთა კომისიის თავმჯდომარის გიორგი სორდიას ინფორმაცია.

მან აღნიშნა, რომ 2023 წლის 16 აგვისტოს ზუგდიდის მუნიციპალიტეტის საკრებულოში შემოსულია ზუგდიდის მუნიციპალიტეტის მერის N24-242322852 მომართვა (რეგისტრაციის N12-25232283-25 16.08.2023წ), რომელიც შეეხება „ზუგდიდის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული უძრავი ქონების იჯარის ფორმით შპს ..... გადაცემის შესახებ ზუგდიდის მუნიციპალიტეტის მერისთვის თანხმობის მიცემას.

აზრი გამოთქვეს: გიორგი სორდიამ განმარტა, საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი“ მე-16 მუხლის მე-2 ნაწილის „ბ“ ქვეპუნქტის, 54-ე მუხლის 1-ლი ნაწილის “დ“ პუნქტის „დ.დ“ ქვეპუნქტის, 122-ე მუხლის 1-ლი ნაწილის ,,დ“ ქვეპუნქტის, 122-ე მუხლის მე-2 ნაწილის, „მუნიციპალიტეტის ქონების პრივატიზების, სარგებლობისა და მართვის უფლებებით გადაცემის, საპრივატიზებო საფასურის, საწყისი საპრივატიზებო საფასურის, ქირის საფასურის, ქირის საწყისი საფასურის განსაზღვრის და ანგარიშსწორების წესების დამტკიცების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2014 წლის 8 დეკემბრის N669 დადგენილების 22-ე მუხლის მე-2 ნაწილის და ზუგდიდის მუნიციპალიტეტის მერის 2023 წლის 16 აგვისტოს N24-242322852 წერილის შესაბამისად, მიეცეს თანხმობა ზუგდიდის მუნიციპალიტეტის მერს, ზუგდიდის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული ქ. ზუგდიდში მდებარე დანართით გათვალისწინებული 20 ერთეული (თითოეული 1,0 კვ.მ) არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთი სწრაფი გადახდის აპარატების განსათავსებლად გასცეს სარგებლობაში პირდაპირი განკარგვის წესით, იჯარის ფორმით 1 (ერთი) წლის ვადით. 20 (ოცი) ერთეულის საიჯარო ქირის წლიური საფასური განისაზღვროს 12 000 (თორმეტი ათასი) ლარის ოდენობით.

კომისიის თავმჯდომარემ მიმართა კომისიის წევრებს გამოთქვან თავიანთი წინადადებები ან შენიშვნები პირველ საკითხთან დაკავშირებით.

აზრი გამოთქვეს: დავით ფიფიამ აღნიშნა: „მე წინათაც მქონდა საუბარი ჩასარიცხ აპარატებთან დაკავშირებით, რომლებიც არის ძალიან ცუდ მდგომარეობაში, არ არის უსაფრთხო და საჭიროებს შეცვლას. ამ საკითხზე მოხდა თუ არა რაიმე რეაგირება.“

აზრი გამოთქვეს: ლაშა ადეიშვილმა განმარტა: „გათვალისწინებულ იქნა ეს საკითხი და განცხადებები, რომლებიც შემოდის ჩასარიცხ აპარატებთან დაკავშირებით, ყველას ამოწმებს ზედამხედველობის სამსახური თუ რამდენად სწორად და გამართულად არის დენის წყარო დაერთებული და რამდენად უსაფრთხოა მოქალაქეებისთვის. მხოლოდ ზედამხედველობის და არქიტექტურის სამსახური თანხმობის შემდეგ გაგვაქვს იჯარაზე მიწის ნაკვეთები ჩასარიცხი აპარატების განსათავსებლად, ხოლო რაც შეეხება იმ აპარატებს, რომლებსაც პრობლემები ჰქონდათ გამართულობასთან დაკავშირებით უკვე აღმოფხვრილია.“

კომისიის წევრების მიერ განსხვავებული წინადადებები და შენიშვნები არ გამოთქმულა და საკითხი დაყენებულ იქნა კენჭისყრაზე.

კენჭისყრის შედეგად საკითხზე

მომხრე: 11

წინააღმდეგი: 0

გადაწყვიტეს: განკარგულების პროექტი „ზუგდიდის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული უძრავი ქონების იჯარის ფორმით შპს ..... გადაცემის შესახებ ზუგდიდის მუნიციპალიტეტის მერისთვის თანხმობის მიცემის თაობაზე“ ჩაითვალოს მომზადებულად და დასკვნა წარედგინოს საკრებულოს ბიუროს საკრებულოს სხდომის დღის წესრიგში დაუყოვნებლივ შეტანის მიზნით.

მოისმინეს: დღის წესრიგით გათვალისწინებულ **მეორე საკითხთან** დაკავშირებით ზუგდიდის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ეკონომიკის, ურბანული განვითარებისა და ქონების მართვის საკითხთა კომისიის თავმჯდომარის გიორგი სორდიას ინფორმაცია.

მან აღნიშნა, რომ 2023 წლის 24 აგვისტოს ზუგდიდის მუნიციპალიტეტის საკრებულოში შემოსულია ზუგდიდის მუნიციპალიტეტის მერის N24-242323628 მომართვა (რეგისტრაციის N12-25232362-25 24.08.2023წ), რომელიც შეეხება ,,ზუგდიდის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული ქონების საპრივატიზაციო ნუსხის და ზუგდიდის მუნიციპალიტეტის ქონების პრივატიზაციის გეგმის დამტკიცების თაობაზე" ზუგდიდის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2017 წლის 21 დეკემბრის N42 განკარგულებაში ცვლილებების შეტანას.

აზრი გამოთქვეს: გიორგი სორდიამ აღნიშნა: „ბატონო ლაშა, გთხოვთ განგვიმარტოთ კონკრეტულად რა ცვლილებები შედის საპრივატიზებო ნუსხაში და იქნა თუ არა გათვალისწინებული საკრებულოს შენიშვნები, რომლებიც კომისიის წინა სხდომაზე იქნა გაჟღერებული (ოქმის ამონაწერი გადაგზავნილია მერიაში)."

აზრი გამოთქვეს: ლაშა ადეიშვილმა განმარტა: „საკრებულოს მოსაზრება გათვალისწინებულ იქნა და კომისიის წინა სხდომაზე წარმოდგენილ ნუსხაში შესატანი 4 ობიექტიდან 2 ამოღებულ იქნა და 2 დატოვებულ იქნა.

დამტკიცებული ნუსხისა და გეგმის ფარგლებში გამოცხადდა ელექტრონული აუქციონები და პრივატიზებულ იქნა ნუსხასა და გეგმაში აღნიშნული 21-ე; 22-ე; 23-ე, 24-ე, 25-ე, 26-ე, 27-ე და 28-ე პოზიციით გათვალისწინებული ქონებები:

პოზიცია 21. ზუგდიდი, სოფ. ჩხორიაში მდებარე 427 კვ.მ. არასასოფლო- სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთი და მასზე განთავსებული შენობა- ნაგებობები N1 საერთო ფართით 198.59 კვ.მ N2 (დანგრეული); N3 (დანგრეული) საკადასტრო კოდი: 43.01.43.412;

პოზიცია 22. ქ. ზუგდიდი, კ. გამსახურდიას ქუჩა N76-ში მდებარე 45.0 კვ.მ. არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთი საკადასტრო კოდი: 43.31.68.521;

პოზიცია 23. ქ. ზუგდიდი, ჩიქოვანის ქუჩა N20-ში მდებარე 183.0 კვ.მ. არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთი საკადასტრო კოდი: 43.31.42.580;

პოზიცია 24. ქ. ზუგდიდი, სოფ. ინგირში მდებარე 83.0 კვ.მ. არასასოფლო- სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთი საკადასტრო კოდი: 43.18.47.111;

პოზიცია 25. ზუგდიდი, სოფ.ოქტომბერში 2091,00 კვ.მ არასასოფლო- სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთზე განთავსებული შენობა-ნაგებობა N1-ის (ორსართულიანი) დემონტაჟი; საკადასტრო კოდი: 43.21.42.127.

პოზიცია 26. ზუგდიდი, სოფ.ინგირში მდებარე 110,00კვ.მ. არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთი საკადასტრო კოდი: 43.18.44.442;

პოზიცია 27. ზუგდიდი, სოფ. ინგირში მდებარე 40,00კვ.მ არასასოფლო- სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთი და მასზე განთავსებული შენობა-ნაგებობა N1; საკადასტრო კოდი: 43.18.47.126

პოზიცია 28. ზუგდიდი, სოფ. ინგირში მდებარე 350,00კვ.მ. არასასოფლო- სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთი საკადასტრო კოდი:43.18.47.115.

მუნიციპალიტეტის ბიუჯეტში დამატებითი შემოსავლების მიღების მიზნით მიღებულ იქნა გადაწყვეტილება საპრივატიზებოდ გატანილ იქნას შემდეგი უძრავ/ მოძრავი ქონებები და შევიდეს შესაბამისი ცვლილება ,,ზუგდიდის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული ქონების საპრივატიზაციო ნუსხის და ზუგდიდის მუნიციპალიტეტის ქონების პრივატიზაციის გეგმის დამტკიცების თაობაზე" ზუგდიდის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2017 წლის 21 დეკემბრის N42 განკარგულებაში" (იხ.დანართი: საპრივატიზებო ნუსხისა და გეგმის N21 და N22 პოზიცია) ზუგდიდის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2023 წლის 21 აგვისტოს N25-252323310 წერილში გამოთქმულ შენიშვნათა გათვალისწინებით.

პოზიცია 21. ავტოსატრანსპორტო საშუალება. LEXUS GX470; გამოშვების წელი. 2008წ; საიდენტიფიკაციო ნომერი: JTJBT20X890174112 სახ.ნომერი - VV080VA; (უპირობო წესით პრივატიზება).

პოზიცია 22. ქ. ზუგდიდი, ჯანაშიას ქუჩაზე მდებარე 3715,0 კვ.მ. არასასოფლო- სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთი საკადასტრო კოდი: 43.31.62.675; (უპირობო წესით პრივატიზება).“

კომისიის თავმჯდომარემ მიმართა კომისიის წევრებს გამოთქვან თავიანთი წინადადებები ან შენიშვნები მეორე საკითხთან დაკავშირებით.

კომისიის წევრების მხრიდან სხვა განსხვავებული წინადადებები და შენიშვნები არ გამოთქმულა და საკითხი დაყენებულ იქნა კენჭისყრაზე.

კენჭისყრის შედეგად საკითხზე

მომხრე: 11

წინააღმდეგი: 0

გადაწყვიტეს: განკარგულების პროექტი ,,ზუგდიდის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული ქონების საპრივატიზაციო ნუსხის და ზუგდიდის მუნიციპალიტეტის ქონების პრივატიზაციის გეგმის დამტკიცების თაობაზე“ ზუგდიდის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2017 წლის 21 დეკემბრის N42 განკარგულებაში ცვლილებების შეტანის შესახებ“ ჩაითვალოს მომზადებულად და დასკვნა წარედგინოს საკრებულოს ბიუროს საკრებულოს სხდომის დღის წესრიგში დაუყოვნებლივ შეტანის მიზნით.

მოისმინეს: დღის წესრიგით გათვალისწინებულ **მესამე საკითხთან** დაკავშირებით ზუგდიდის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ეკონომიკის, ურბანული განვითარებისა და ქონების მართვის საკითხთა კომისიის თავმჯდომარის გიორგი სორდიას ინფორმაცია.

მან აღნიშნა, რომ 2023 წლის 7 აგვისტოს ზუგდიდის მუნიციპალიტეტის საკრებულოში შემოსულია საქართველოს ფილოსოფიურ მეცნიერებათა აკადემიის წერილი (რეგისტრაციის N10/25232193-25 7.08.2023წ), რომელიც შეეხება ქ.ზუგდიდში ერთ-ერთი ქუჩისთვის ფილოსოფოს აკაკი (ქაქუ) ციმინტიას სახელის მინიჭებას.

აზრი გამოთქვეს: გიორგი სორდიამ აღნიშნა: „როგორც ვიცით, ქ. ზუგდიდის ტერიტორიაზე არ არის უსახელო ქუჩები და იქნებ თვითონ განმცხადებლებმა შემოგვთავაზონ კონკრეტული ქუჩა.“

აზრი გამოთქვეს: მაია კალანდიამ აღნიშნა: „ფილოსოფოსი აკაკი ციმინტია წარმოშობით არის სოფ. რუხიდან და უპრიანი იქნება იქ რომელიმე ქუჩას რომ დაერქვას მისი სახელი.“

აზრი გამოთქვეს: ოთარ ქადარიამ აღნიშნა: „აქვე გასათვალისწინებელია კონკრეტულად იმ ქუჩის მოსახლეობის აზრი, უნდათ კი ამ პიროვნების სახელის მინიჭება თავიანთი ქუჩისთვის.“

აზრი გამოთქვეს: გიგა ფარულავამ აღნიშნა: „იმ შემთხვევაში რა გადაწყვეტილება უნდა მივიღოთ, როცა არ გვაქვს უსახელო ქუჩა.“

აზრი გამოთქვეს: საკრებულოს აპარატის უფროსმა აღნიშნა: „განმცხადებელს ვაცნობოთ, რომ საკითხი განხილულ იქნა კომისიის მიერ, ამ ეტაპზე ქ. ზუგდიდში არ არის უსახელო ქუჩა და მომავალში უსახელო ქუჩის არსებობის შემთხვევში გათვალისწინებული იქნება აღნიშნული საკითხი ქუჩისთვის სახელის მინიჭების დროს.“

კომისიის თავმჯდომარემ მიმართა კომისიის წევრებს გამოთქვან თავიანთი წინადადებები ან შენიშვნები მესამე საკითხთან დაკავშირებით.

კომისიის წევრების მხრიდან სხვა განსხვავებული წინადადებები და შენიშვნები არ გამოთქმულა და საკითხი დაყენებულ იქნა კენჭისყრაზე

კენჭისყრის შედეგად საკითხზე

მომხრე: 11

წინააღმდეგი: 0

გადაწყვიტეს: საკითხზე „ქ.ზუგდიდში ერთ-ერთი ქუჩისთვის ფილოსოფოს აკაკი (ქაქუ) ციმინტიას სახელის მინიჭების შესახებ“ ქ. ზუგდიდში უსახელო ქუჩის გამოჩენისა და მისი სახელდების შემთხვევაში გათვალისწინეული იქნეს საქართველოს ფილოსოფიურ მეცნიერებათა აკადემიის წინადადება (იმ კონკრეტული ქუჩის მოსახლეობასთან შეთანხმებით). აღნიშნული გადაწყვეტილება ეცნობოს საქართველოს ფილოსოფიურ მეცნიერებათა აკადემიას.

მოისმინეს: დღის წესრიგით გათვალისწინებულ **მეოთხე საკითხთან** დაკავშირებით ზუგდიდის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ეკონომიკის, ურბანული განვითარებისა და ქონების მართვის საკითხთა კომისიის თავმჯდომარის გიორგი სორდიას ინფორმაცია.

მან აღნიშნა, რომ 2023 წლის 22 აგვისტოს ზუგდიდის მუნიციპალიტეტის საკრებულოში შემოსულია ზუგდიდის მუნიციპალიტეტის მერის N24-242323430 მომართვა (რეგისტრაციის N12-25232342-25 22.08.2023წ), რომელიც შეეხება ა(ა)იპ ,,ზუგდიდის მუნიციპალიტეტის - კეთილმოწყობის მართვის ცენტრის“ ბალანსზე არსებული უძრავი ქონების პირდაპირი განკარგვის წესით, სარგებლობის უფლებით, იჯარის ფორმით გაცემისას, ქირის წლიური საფასურის ოდენობის განსაზღვრის შესახებ ა(ა)იპ ,,ზუგდიდის მუნიციპალიტეტის - კეთილმოწყობის მართვის ცენტრისთვის“ თანხმობის მიცემას.

აზრი გამოთქვეს: გიორგი სორდიამ განმარტა, ,,ზუგდიდის მუნიციპალიტეტის კერძო სამართლის იურიდიული პირების ძირითადი საშუალებების გასხვისებისა და სარგებლობის უფლებით გადაცემის, ქონების საწყისი საფასურის, ქონების სარგებლობის უფლებით გადაცემისას ქირის საფასურის და ქირის საწყისი საფასურის განსაზღვრისა და ანგარიშსწორების წესების დამტკიცების შესახებ“ ზუგდიდის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2018 წლის 07 დეკემბრის N94 დადგენილების მე-7 მუხლის მე-4 პუნქტის, შპს აუდიტორული ფირმა ,,ლაზიკა აუდიტის“ 2023 წლის 24 ივლისის N23/247 აუდიტორული (საშემფასებლო) დასკვნის შესაბამისად და ზუგდიდის მუნიციპალიტეტის მერის 2023 წლის 22 აგვისტოს N24-242323430 წერილის საფუძველზე, მიეცეს თანხმობა ა(ა)იპ ,,ზუგდიდის მუნიციპალიტეტის - კეთილმოწყობის მართვის ცენტრს“ მის ბალანსზე არსებული უძრავი ქონების (მიწის (უძრავი ქონების) საკადასტრო კოდი: N43.36.03.065) პირდაპირი განკარგვის წესით, სარგებლობის უფლებით 2 (ორი) წლის ვადით, იჯარის ფორმით კოოპერატივი ,,რკ სარემონტო მექანიკური კომბინატისა და შპს ,,მექანიკური“-სთვის გაცემისას ქირის წლიური საფასურის ოდენობა განისაზღვროს:

1.1. ქ. ზუგდიდი, გორის ქუჩა N17 ში მდებარე 26153,00კვ.მ არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთიდან (მიწის (უძრავი ქონების) საკადასტრო კოდი: N43.36.03.065) 1647,00კვ.მ არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთის კოოპერატივი ,,რკ სარემონტო მექანიკური კომბინატისთვის“ (ს/ნ 219985434) პირდაპირი განკარგვის წესით, სარგებლობის უფლებით, იჯარის ფორმით გაცემისას ქირის წლიური საფასურის ოდენობა განისაზღვროს 16810 (თექვსმეტი ათას რვაას ათი) ლარით.

1.2. ქ. ზუგდიდი, გორის ქუჩა N17-ში მდებარე 26153,00კვ.მ არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთზე განთავსებული შენობა-ნაგებობების (მიწის (უძრავი ქონების) საკადასტრო კოდი: N43.36.03.065) მექანიკური საამქროს შენობის 3312,26კვ.მ ფართიდან 110,00კვ.მ ფართის შპს ,,მექანიკურისთვის“ (ს/ნ420005844) პირდაპირი განკარგვის წესით, სარგებლობის უფლებით, იჯარის ფორმით გაცემისას ქირის წლიური საფასურის ოდენობა განისაზღვროს 1585 (ერთი ათას ხუთას ოთხმოცდახუთი) ლარით.

კომისიის თავმჯდომარემ მიმართა კომისიის წევრებს ხომ არა აქვთ რაიმე სახის წინადადება ან შენიშვნა მეოთხე საკითხთან დაკავშირებით.

კომისიის წევრების მხრიდან სხვა განსხვავებული წინადადებები და შენიშვნები არ გამოთქმულა და საკითხი დაყენებულ იქნა კენჭისყრაზე.

კენჭისყრის შედეგად

მომხრე: 11

წინააღმდეგი: 0

გადაწყვიტეს: განკარგულების პროექტი „ა(ა)იპ ,,ზუგდიდის მუნიციპალიტეტის - კეთილმოწყობის მართვის ცენტრის“ ბალანსზე არსებული უძრავი ქონების პირდაპირი განკარგვის წესით, სარგებლობის უფლებით, იჯარის ფორმით გაცემისას, ქირის წლიური საფასურის ოდენობის განსაზღვრის შესახებ ა(ა)იპ ,,ზუგდიდის მუნიციპალიტეტის - კეთილმოწყობის მართვის ცენტრისთვის“ თანხმობის მიცემის თაობაზე“ ჩაითვალოს მომზადებულად და დასკვნა წარედგინოს საკრებულოს ბიუროს საკრებულოს სხდომის დღის წესრიგში დაუყოვნებლივ შეტანის მიზნით.

მოისმინეს: დღის წესრიგით გათვალისწინებულ **მეხუთე საკითხთან** დაკავშირებით ზუგდიდის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ეკონომიკის, ურბანული განვითარებისა და ქონების მართვის საკითხთა კომისიის თავმჯდომარის გიორგი სორდიას ინფორმაცია.

მან აღნიშნა, რომ 2023 წლის 24 აგვისტოს ზუგდიდის მუნიციპალიტეტის საკრებულოში შემოსულია ზუგდიდის მუნიციპალიტეტის მერის N24-242323656 მომართვა (რეგისტრაციის N12-25232365-25 24.08.2023 წ), რომელიც შეეხება ზუგდიდის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული 9 (ცხრა) ცალი გარე განათების ბოძის ნაწილის (წერტილი) სს ..... სარგებლობაში პირდაპირი განკარგვის წესით იჯარის ფორმით გაცემისა და ქირის წლიური საფასურის განსაზღვრის შესახებ ზუგდიდის მუნიციპალიტეტის მერისთვის თანხმობის მიცემას.

აზრი გამოთქვეს: გიორგი სორდიამ განმარტა, „მუნიციპალიტეტის ქონების პრივატიზების, სარგებლობისა და მართვის უფლებებით გადაცემის, საპრივატიზებო საფასურის, საწყისი საპრივატიზებო საფასურის, ქირის საფასურის, ქირის საწყისი საფასურის განსაზღვრის და ანგარიშსწორების წესების დამტკიცების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2014 წლის 8 დეკემბრის N669 დადგენილების 22-ე მუხლის მე-2 პუნქტის, 36-ე მუხლის მე-4 პუნქტის ზუგდიდის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული ქონების განკარგვის მუდმივმოქმედი კომისიის სხდომის ოქმის N13 (17.08.2023წ) და ზუგდიდის მუნიციპალიტეტის მერის 2023 წლის 24 აგვისტოს N24-242323656 წერილის შესაბამისად, მიეცეს თანხმობა ზუგდიდის მუნიციპალიტეტის მერს, ზუგდიდის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული,ზუგდიდის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე (ქ.ზუგდიდი სახოკიას ქუჩის მიმდებარედ) 9 (ცხრა) ერთეული გარე განათების ბოძის ნაწილის (წერტილი) სს ..... სარგებლობაში, პირდაპირი განკარგვის წესით, იჯარის ფორმით 2 წლის ვადით გაცემაზე. ერთი ერთეული გარე განათების კონსტრუქციების ნაწილის/წერტილის გამოყენების წლიური საფასური განისაზღვროს 4 (ოთხი) ლარის ოდენობით.

კომისიის თავმჯდომარემ მიმართა კომისიის წევრებს გამოთქვან თავიანთი წინადადებები ან შენიშვნები მეხუთე საკითხთან დაკავშირებით.

აზრი გამოთქვეს: დავით ფიფიამ აღნიშნა: „მსგავსი ნებართვების გაცემის წინააღმდეგი არ ვარ, მაგრამ რეგულირება უნდა მოხდეს ინტერნეტის სადენების გაჭიმვის დროს.“

აზრი გამოთქვეს: გიორგი სორდიამ აღნიშნა: „ბატონო დავით, შევთანხმდით რომ ქალაქის ტერიტორიაზე არ მოხდება ასეთი ნებართვების გაცემა, ხოლო დღეს წარმოდგენილი საკითხი გარეუბანს ეხება.“

აზრი გამოთქვეს: ლაშა ადეიშვილმა აღნიშნა: „..... ყავს მომხმარებელი და შესაბამისად არის მოთხოვნა.“

აზრი გამოთქვეს: დავით ფიფიამ აღნიშნა: „გასაგებია მოთხოვნა არის, მაგრამ ხომ შეიძლება კომპანიამ აღნიშნული სადენები მოწესრიგებულად და ლამაზად გაიყვანოს.“

აზრი გამოთქვეს: გიორგი სორდიამ აღნიშნა: „დღევანდელი საკითხი არსებული თანხმობის გაგრძელებას ეხება.“

აზრი გამოთქვეს: დავით ფიფიამ აღნიშნა: „გასაგებია არსებული თანხმობის გაგრძელებაზე რომ არის საუბარი. მაგრამ როდესაც ძველი სადენები გაწყდება ახალს დაამაგრებენ და იმ ძველ ადგილზე ტოვებენ, ეს არა მარტო ..... ეხება ყველა კომპანია ასე აკეთებს. ამის კონტროლი უნდა მოხდეს ზედამხედველობის და კეთილმოწყობის სამსახურების მიერ.“

აზრი გამოთქვეს: დავით ვეკუამ აღნიშნა: „მიმაჩნია, რომ იჯარის აღნიშნული თანხა (4 ლარი) არის ძალიან მცირე, რადგან ამ კომპანიებს საკმაოდ დიდი შემოსავლები აქვთ.“

აზრი გამოთქვეს: გიორგი სორდიამ აღნიშნა: „2020 წელს იჯარის თანხა იყო 2 (ორი) ლარი, წელს კი არის 4(ოთხი) ლარი.“

აზრი გამთქვეს: დავით ფიფიამ აღნიშნა: „ჩვენ თუ იჯარის თანხას გავზრდით, შესაბამისად მომსახურეობაც გაიზრდება.“

აზრი გამოთქვეს: გიორგი სორდიამ აღნიშნა: „ბატონო ლაშა, მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე თუ გაქვთ დათვლილი ჯამში დაახლოებით რამდენ ბოძზეა ნებართვა გაცემული და რამდენია შემოსავალი.“

აზრი გამოთქვეს: ლაშა ადეიშვილმა აღნიშნა: „ზეპირად ვერ გეტყვით, მაგრამ ზუსტ მონაცემებს მოგაწვდით.“

აზრი გამოთქვეს: კახაბერ ჩანგელიამ აღნიშნა: „გასაგებია, ერთ წერტილში კომპანია 4 ლარს იხდის და თითქოს ეს მცირე თანხაა, მაგრამ რამდენი ბოძია მუნიციპალიტეტის მასშტაბით იჯარით გაცემული კონკრეტულ კომპანიაზე და კომპანიას არც თუ ისე მცირე თანხის გადახდა უწევს ყოველთვიურად.“

აზრი გამოთქვეს: დავით ფიფიამ აღნიშნა: „ზოგადად, იქნებ შევთავაზოთ კომპანიებს რომ იჯარის თანხის გადახდის სანაცვლოდ მოაწესრიგონ სადენების საკითხი და მიწის ქვეშ გაიყვანონ, როგორც ეს თაბუკაშვილის ქუჩაზეა გაკეთებული.“

აზრი გამოთქვეს: მაია კალანდიამ აღნიშნა: „ამას უნდა კომპლექსური მიდგომა, ჩვენ მერიის შესაბამისმა სამსახურთან და სპეციალისტებთან ერთად გონივრულ ვადაში შევიმუშავოთ ამ საკითხის მოგვარების გზები.“

კომისიის თავმჯდომარემ მიმართა კომისიის წევრებს ხომ არა აქვთ სხვა სახის წინადადება ან შენიშვნა მეშვიდე საკითხთან დაკავშირებით.

კომისიის წევრების მიერ განსხვავებული წინადადებები და შენიშვნები არ გამოთქმულა და საკითხი დაყენებულ იქნა კენჭისყრაზე.

კენჭისყრის შედეგად

მომხრე: 10

წინააღმდეგი: 1 (დავით ვეკუა)

გადაწყვიტეს: განკარგულების პროექტი „ზუგდიდის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული 9 (ცხრა) ცალი გარე განათების ბოძის ნაწილის (წერტილი) სს ..... სარგებლობაში პირდაპირი განკარგვის წესით იჯარის ფორმით გაცემისა და ქირის წლიური საფასურის განსაზღვრის შესახებ ზუგდიდის მუნიციპალიტეტის მერისთვის თანხმობის მიცემის თაობაზე“ ჩაითვალოს მომზადებულად და დასკვნა წარედგინოს საკრებულოს ბიუროს საკრებულოს სხდომის დღის წესრიგში დაუყოვნებლივ შეტანის მიზნით.

მოისმინეს: დღის წესრიგით გათვალისწინებულ **მეექვსე საკითხთან** დაკავშირებით ზუგდიდის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ეკონომიკის, ურბანული განვითარებისა და ქონების მართვის საკითხთა კომისიის თავმჯდომარის გიორგი სორდიას ინფორმაცია, რომელიც შეეხება ზუგდიდის მუნიციპალიტეტის სოფლების საილუსტრაციო ორთოფოტოების და შემავალი ქუჩების დამტკიცებას.

აზრი გამოთქვეს: გიორგი სორდიამ აღნიშნა: „აღნიშნული საკითხი, რომელიც მოიცავს 12 განკარგულების პროექტს (27 ადმინისტრაციული ერთეული) განხილული იყო 19 ივლისის კომისიის სხდომაზე, სადაც კომისიამ გადაწყვეტილება არ მიიღო, რადგან განკარგულების

პროექტები არ იყო სრულყოფილად და გამართულად ჩამოყალიბებული. ბატონო დავით (მიმართა დავით ჭანტურიას) რა მდგომარეობა გვაქვს ამ მიმართულებით.“

აზრი გამოთქვეს: მერიის ადმინისტრაციული სამსახურის უფროსმა განმარტა: „საკრებულოს აპარატის იურისტების მიერ დაზუსტდა და გასწორებულ იქნა და პირველ ეტაპზე ამ განკარგულებებს ასეთი სათაური ექნებათ, მაგალითად, ცაიშის მაგალითზე „სოფელ ცაიშის და ცაცხვის საილუისტრაციო ორთოფოტოს და შემავალი ქუჩების დამტკიცების შესახებ“. ამის დამტკიცება დაგვეხმარება საზღვრების დადგენაში, რადგან შემდგომი პროცედურა იქნება საზღვრების დადგენაზე მუშაობა.“

კომისიის თავმჯდომარემ მიმართა კომისიის წევრებს ხომ არა აქვთ სხვა სახის წინადადება ან შენიშვნა მეშვიდე საკითხთან დაკავშირებით.

კომისიის წევრების მიერ განსხვავებული წინადადებები და შენიშვნები არ გამოთქმულა.

კომისიის თავმჯდომარემ განმარტა, რომ განკარგულების პროექტები ერთად დაყენებულ იქნას კენჭისყრაზე, ხოლო კომისიის მხრიდან დადებითი გადაწყვეტილების შემთხვევაში საკრებულოს სხდომაზე ცალცალკე მოხდება კენჭისყრა.

კენჭისყრის შედეგად

მომხრე: 11

წინააღმდეგი: 0

გადაწყვიტეს: განკარგულების პროექტები:

1. ზუგდიდის მუნიციპალიტეტის სოფელ აბასთუმნის და სოფელ ხეცერას საილუსტრაციო ორთოფოტოს და შემავალი ქუჩების დამტკიცების შესახებ;
2. ზუგდიდის მუნიციპალიტეტის სოფელ ახასოფელი, სოფელ ოფაჩხაფუს, სოფელ უჩაშონას და სოფელ ჯუმის საილუსტრაციო ორთოფოტოს და შემავალი ქუჩების დამტკიცების შესახებ;
3. ზუგდიდის მუნიციპალიტეტის სოფელ დარჩელის და სოფელ კიროვის საილუსტრაციო ორთოფოტოს და შემავალი ქუჩების დამტკიცების შესახებ;
4. ზუგდიდის მუნიციპალიტეტის სოფელ დიდინეძის და სოფელ დიდინეძის კახათის საილუსტრაციო ორთოფოტოს და შემავალი ქუჩების დამტკიცების შესახებ;
5. ზუგდიდის მუნიციპალიტეტის სოფელ ერგეტას და სოფელ ცვანეს საილუსტრაციო ორთოფოტოს და შემავალი ქუჩების დამტკიცების შესახებ;
6. ზუგდიდის მუნიციპალიტეტის სოფელ ინგირის და სოფელ იორემეს საილუსტრაციო ორთოფოტოს და შემავალი ქუჩების დამტკიცების შესახებ;
7. ზუგდიდის მუნიციპალიტეტის სოფელ კოკის და სოფელ ხურჩას საილუსტრაციო ორთოფოტოს და შემავალი ქუჩების დამტკიცების შესახებ;
8. ზუგდიდის მუნიციპალიტეტის სოფელ ნარაზენის და სოფელ შემადელას საილუსტრაციო ორთოფოტოს და შემავალი ქუჩების დამტკიცების შესახებ;
9. ზუგდიდის მუნიციპალიტეტის სოფელ ნაცატუს, სოფელ ბაშის და სოფელ კორცხელის საილუსტრაციო ორთოფოტოს და შემავალი ქუჩების დამტკიცების შესახებ;
10. ზუგდიდის მუნიციპალიტეტის სოფელ ოდიშის და სოფელ ჩხოუშის საილუსტრაციო ორთოფოტოს და შემავალი ქუჩების დამტკიცების შესახებ;
11. ზუგდიდის მუნიციპალიტეტის სოფელ ოქტომბერის და სოფელ დავითიანის საილუსტრაციო ორთოფოტოს და შემავალი ქუჩების დამტკიცების შესახებ;
12. ზუგდიდის მუნიციპალიტეტის სოფელ ცაიშის და სოფელ ცაცხვის საილუსტრაციო ორთოფოტოს და შემავალი ქუჩების დამტკიცების შესახებ ჩაითვალოს მომზადებულად და დასკვნა წარედგინოს საკრებულოს ბიუროს საკრებულოს სხდომის დღის წესრიგში დაუყოვნებლივ შეტანის მიზნით.

სხვადასხვა საკითხებთან დაკავშირებით წინადადებები არ გამოთქმულა.

დღის წესრიგით გათვალისწინებული ყველა საკითხი ამოიწურა და სხდომა გამოცხადდა დახურულად.

ზუგდიდის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ეკონომიკის, ურბანული განვითარებისა
და ქონების მართვის საკითხთა კომისიის თავმჯდომარე

გიორგი სორდია

ხელმოწერილია